ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №19

2014 წლის 28 მარტი,
ქ. ბათუმი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის**“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად 2014 წლის 28 მარტს გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საპროცედურო და საკონკურსო კომისიები **დანართი 1** და **დანართი 2**-ის შესაბამისად;
2. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2014 წლის **29 აპრილიდან 2 ივნისის ჩათვლით.**
3. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების სამუშაო არ ანაზღაურდება;
4. საკონკურსო კომისიებს ეთხოვოს სამეცნიერო ცენტრში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №39 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს **2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის**“ შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება;
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

საპროცედურო კომისიის შემადგენლობა

1. ეთერ ხეცოიძე
2. ლალი ტუღუში
3. თამილა ლომთათიძე

დანართი 2.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. როინ მალაყმაძე - თავმჯდომარე, ინსტიტუტის დირექტორი;
2. ნოდარ კახიძე - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
3. შუშანა ფუტკარაძე - განყოფილების გამგე.